- ტალონის ნომერი;
- საქონლის სახეობა;
- საქონლის რაოდენობა.

მყიდველისათვის გადაცემული ტალონების გამოყენება შესაძლებელი იქნება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან. ტალონების დაკარგვის შემთხვევაში მყიდველს არ აქვს უფლება მოითხოვოს დაკარგული ტალონების სანაცვლოდ ახალი ტალონების ან/და ბუნებრივი აირის გაცემა.

3.2 საქონლის გაცემა ხდება ტალონის წარმომდგენ ნებისმიერ პირზე.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ერთი წლის ჩათვლით.

4.2 თუ მხარეები ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 2(ორი) კვირით ადრე არ გამოთქვამენ მისი შეწყვეტის სურვილს, ხელშეკრულება ითვლება ავტომატურად გაგრძელებულად ერთი წლის ვადით.

4.3 თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება მეორე მხარისათვის მინიმუმ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

4.4 მხარეებს შეუძლიათ ცალმხრივად ვადაზე ადრე მოშალონ წინამდებარე ხელშეკრულება და მოითხოვონ მიყენებული ზიანის ანაზღაურება თუ რომელიმე მხარე არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს.

5. ფორს-მაჟორი

5.1 წინამდებარე ხელშეკრულების დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც რომელიმე მხარე ვერ ახერხებს თავისი მოვალეობების შესრულებას ფორს-მაჟორულ გარემოებების ზემოქმედების გამო, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მხარემ მიიღო ყველა ზომა, გამოიჩინა სათანადო სიფრთხილე და ალტერნატიული ზომები წინამდებარე ხელშეკრულების შესასრულებლად.

5.2 ფორს-მაჟორული გარემოებების აღმოფხვრის შემდგომ მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ახალ ვადებზე.

6. სხვა პირობები

6.1 ხელშეკრულებიდან გამომდინარე სადავო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების გზით. უთანხმოების შემთხვევაში დავა განიხილება სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში რაიმე ცვლილებების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმების გზით.

გენერალური ხელშეკრულება № BA 201406/004

ქ.თელავი

09 ივნისი 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ **შპს „ბუნებრივი აირი"** (შემდგომში: „გამყიდველი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი ქართლელიშვილის სახით და მეორეს მხრივ **შპს "თუშური ცხვრის ჯიშსაშენი"** (შემდგომში: „მყიდველი"), წარმოდგენილი მისი **დირექტორის ნარგიზა ილურიძეს** სახით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის შეკუმშული ბუნებრივი აირის (გაზის) (შემდგომში - საქონელი) მიწოდება.

1.2 საქონლის მიწოდება ხორციელდება ეტაპობრივად, ტალონების მეშვეობით, გამყიდველის გაზგასამართ სადგურებზე.

2.საქონლის ღირებულება და ანგარიშწორების პირობები

2.1 მხარეები წინასწარ ათანხმებენ საქონლის ღირებულებას, რაც აისახება შესაბამის სასაქონლო ზედნადებში

2.2 მყიდველი წინასწარ იხდის ყოველ ეტაპზე შესაძენი საქონლის ღირებულებას საქართველოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, ან/და შესაძლებელია კონსიგნაციით, რომლის დროსაც საქონლის ღირებულების დაფარვა მოხდება მხარეთა შორის ტალონების გადაცემის თაობაზე სასაქონლო ზედნადების გამოწერიდან არაუგვიანეს მომდევნო ერთი თვის განმავლობაში.

2.3 გადახდა შესაძლებელია როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშწორების გზით.

2.4 უნაღდო ანგარიშწორების დროს გადახდის თარიღად მიიჩნევა გამყიდველის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის დღე.

3. საქონლის მიწოდების პირობები და მიღება-ჩაბარების წესი

3.1 სატალონო სისტემით საქონლის გაცემა იწარმოებს შემდეგი წესით: მყიდველის მიერ ტექნიკური დავალების გაცემიდან გამყიდველი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე გადასცემს მყიდველს (მის მიერ უფლებამოსილ პირს) მოთხოვნილი რაოდენობის გაზის ტალონებს (გაზის ტალონის სხვადასხვა ნომინალებით). ტალონების მყიდველისათვის გადაცემის შემდეგ, მათი დაკარგვის, დაზიანების ან განადგურების რისკი გადადის მყიდველზე. ყოველ ტალონზე აღნიშნული უნდა იყოს:

- გამყიდველის ლოგო წარწერით „ბუნებრივი აირი";

6.3 თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევ
მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკე პირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლა
მოქმედებს წესი, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

6.4 მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების ადგილი არის
თელავი თბილისის გზატკეცილი №13 (გამყიდველის ადგილსამყოფელი).

6.5 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონ
ეგზემპლარად, თითო ეგზემპლარი გადაეცემათ ხელშეკრულების მხარეებს.

<u>გამყიდველი:</u>
შპს ბუნებრივი აირი
ს/ნ 231251007
იურიდიული მისამართი: ქ. თელავი თბილისის გზატკეცილი №13
მობ: +995 599 385585
თიბისი ბანკის (თელავის ფილიალი)
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE10TB0999236020100001
საქართველოს ბანკის (ცენტრალური ფილიალი)
ბ/კ BAGAGE22
ა/ა GE46BG0000000346813200

დირექტორი:
/გ.ქართლელიშვილი/

(ხელისმოწერა)

<u>მყიდველი:</u>

შპს თუშური ცხვრის ჯიშსაშენი
ს/ნ 224618313
იურ. მისამართი: ახმეტის რაიონი, ს. ქვ.ალვანი
ტელ: +995 568 051005

დირექტორი:
/ნ.ილურიძე/

(ხელისმოწერა)